ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №14

25.05.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ავთანდილ ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;

2. **კახაბერ იოსელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ლევან ჯაფარიძე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 30-ე მუხლი), გარემოს დაცვის, ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №12-03181317-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო/

2. **მიმდინარე საკითხი** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №15-031814433-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო/

კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებამდე, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჯაფარიძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიის წევრმა ბ-ნმა ლევან ხაბეიშვილმა 2018 წლის 24 მაისს, კომისიას მიმართა №03-0318144134 წერილით და ითხოვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2018 წლის 8 მაისს, №12-03181285-03 წერილით საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი საკითხის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №18.293.507 განკარგულებით მიღებული „შპს ას ჯორჯიას“ მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ) შესწავლაში გარემოს დაცვის კომისიის ჩართვა და აღნიშნული საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

ბ-ნი ლევან ხაბეიშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა გარემოს დაცვის კომისიის სხდომის თარიღისა და კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ოფიციალური წერილით მიმართა როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს, ასევე, გარემოს დაცვის კომისიას და ითხოვა გარემოს დაცვის კომისიის მიერ „შპს ას ჯორჯიას“ მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №18.293.507 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის სრულყოფილად შესწავლა. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველად წარმოდგენილი საკითხი ეხება მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის შედეგად გამოთავისუფლებული/შექმნილი დამატებითი მიწის ნაკვეთსა და აღნიშნული სამეწარმეო სუბიექტის (შპს „ას ჯორჯიას") მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, მისი აზრით, მიზანშეწონილია, საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანამდე, დარგობრივმა კომისიებმა (მათ შორის, გარემოს დაცვის კომისიამ) სრულყოფილად შეისწავლონ საკითხი და საკრებულოს წარუდგინონ შესაბამისი დასკვნები.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე კომისია ვერ განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 8 მაისის №12-03181285-03 წერილით საკრებულოში განსახილველად გადმოგზავნილ საკითხს, რადგან, პროცედურულად, ამ ეტაპზე, მისი განხილვა კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

ბ-ნმა გიორგი ტყემალაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2018 წლის 8 მაისს, №12-03181285-03 წერილით საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი საკითხი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №18.293.507 განკარგულებით მიღებული „შპს ას ჯორჯიას" მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ) ითვალისწინებს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის 2012 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას. შესაბამისად, პროცედურულად, სათანადო რეაგირებისთვის საკითხის შესწავლა დაევალა ქალაქ თბილისის შესაბამის დარგობრივ კომისიებს (ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ასევე, იურიდიულ კომისიებს). აღნიშნული საკითხის შესწავლაში გარემოს დაცვის კომისია აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მას შემდეგ, როცა დამუშავდება და საკრებულოს განსახილველად წარედგინება შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ამ ეტაპზე, საკრებულო განიხილავს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის საკითხს, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, „შპს ასჯორჯია" გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

კომისიის წევრის ბ-ნი ლევან ხაბეიშვილის 2018 წლის 24 მაისის №03-0318144134 წერილის თაობაზე მოსმენილი ამომწურავი ინფორმაციის შემდეგ, ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №12-03181317-03 წერილი)

სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჯაფარიძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №12-03181317-03 წერილით საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ლევან ჯაფარიძემ განსახილველი საკითხის თაობაზე ინფორმაციის მოწოდება სთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორს ბატონ ვახტანგ ლომჯარიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა ბ-ნმა ვახტანგ ლომჯარიამ.

მომხსენებლის (ვ. ლომჯარია) ინფორმაციის თანახმად, პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის

ამაღლებას, შესაბამის სფეროში მისი როლის მკაფიოდ წარმოჩენას, სააგენტოს საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტების და პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანებისა და ცხოველების უსაფრთხო გარემოს შექმნას, ცხოველების კეთილდღეობისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

პროექტის თანახმად, იცვლება სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. სააგენტოში უქმედება ოთხი განყოფილება. სააგენტოს სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებით:

1. ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტი;
2. ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტში შედის:

1. ცხოველთა თავშესაფრის განყოფილება;
2. ოპერატიული რეაგირების განყოფილება.

დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, პრიორიტეტი მიენიჭა სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას და შესაბამისად, ადმინისტრაციულ დეპარტამენტში და ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებებში განხორციელებული ცვლილებების (შემცირდა სააგენტოს საჯარიმო ჯგუფის თანამშრომლების რაოდენობა 8 ერთეულით) ხარჯზე გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა ცხოველთა თავშესაფრის განყოფილებაში, სადაც დასაქმებული არიან ექიმი-ვეტერინარები, კინოლოგები, სანიტარული დამლაგებლები. ვინაიდან, სააგენტოს ცხოველთა თავშესაფრის საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებული საფრთხის წყაროსთან, ამასთან, მისი ფუნქციონირება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, თავშესაფრის განყოფილებას დაემატა თავშესაფრის უფროსის მოადგილის შტატი. გარდა აღნიშნულისა, თავშესაფრის საქმიანობის ეფექტურობის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით (რაც დეფიციტია შრომის ბაზარზე - ექიმი-ვეტერინარები, კინოლოგები), გაიზარდა ექიმი-ვეტერინარების და სანიტარული დამლაგებლების ხელფასები. გაიზარდა ასევე, სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში დასაქმებული დამლაგებლის ხელფასი.

წარმოდგენილი ცვლილების მიღების შემთხვევაში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საშტატო ნუსხა განისაზღვრება 125 საშტატო ერთეულით, ნაცვლად 131-ისა.

მომხსენებელმა, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს დარგობრივ კომისიებთან კონსულტაციების შემდეგ, დაზუსტდა საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი. თუმცა, სააგენტოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განხორციელდეს სახელფასო ფონდის ეკონომია დამატებით 300 ლარის ოდენობით და ნაცვლად 177 750 (ას სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას

ორმოცდაათი ლარი) ლარისა ერთ თვეში, გაიწეროს 177 450 ლარის ოდენობით ერთ თვეში. ჯამში, სახელფასო ფონდის ეკონომია განხორციელდება შემდეგი სახით: ძველი (მოქმედი საშტატო ნუსხის (131 შტატის) შესაბამისად) ხელფასის ერთი თვის ოდენობა განსაზღვრული იყო 178 400 (ას სამოცდათვრამეტი ათას ოთხასი) ლარით, სხვაობა ახალ ხელფასსა და ძველს შორის (ერთი თვის) შეადგენს 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარს, წლის სხვაობა - 11 400 (თერთმეტი ათას ოთხასი) ლარი, საპრემიო ფონდი - 77 900 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაასი) ლარი, სულ სხვაობა ხელფასებისა და პრემიის გათვალისწინებით (წლის) – 89 300 (ოთხმოცდაცხრა ათას სამასი) ლარი.

მომხსენებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა და ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში მოსალოდნელი ოპტიმიზაციისა და რეორგანიზაციის შედეგად, სააგენტოს საშტატო ერთეულების შემცირების საფუძველზე, სამსახურიდან გასათავისუფლებელი თანამშრომლების რაოდენობის, მათ მიერ დაკავებული პოზიციებისა და სახელფასო ფონდის ეკონომიის თაობაზე.

საკრებულოსა და კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა ვახტანგ ლომჯარიამ, რომლის განმარტებით, მცირდება როგორც მენეჯერული (სულ სამი ერთეული), ასევე, ტექნიკური შტატები (ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტი (ცხოველების და ქვეწარმავლების დამჭერი) - სულ: 8 (რვა) ერთეული), ხოლო ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტს (ცხოველების და ქვეწარმავლების დამჭერს) შეეცვლება სახელი და დაერქმევა ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტი (მაშველი).

ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ დამატებით აღნიშნა, რომ სააგენტოს სტრუქტურის ოპტიმიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილების საფუძველზე, მოხდება შტატების რაოდენობის ცვლილება სხვადასხვა განყოფილებაში, არსებულისგან განსხვავებული კონფიგურაციით. კერძოდ, ზოგიერთ განყოფილებაში შტატების შემცირების ხარჯზე მოხდება სხვა განყოფილებაში შტატების რაოდენობის გაზრდა, სადაც დასაქმდებიან ის თანამშრომლები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად. გარდა ამისა, მომხსენებლის განმარტებით, განყოფილების

უფროსების შტატების გაუქმების გამო, აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლები დაიკავებენ უფროსი სპეციალისტის პოზიციებს.

ბ-ნმა ვახტანგ ლომჯარიამ ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისი კადრის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურების გამარტივების გამო, სანიტარულ დამლაგებლებსა და დამლაგებლებს დაასაქმებენ ხელშეკრულებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 9 სანიტარული დამლაგებლის, ერთი ტექნიკური მენეჯერის, ორი დამლაგებლის, 2 ტექნიკოს-შემკეთებლის, 1 ანალიტიკოსის და 1 სააგენტოს დირექტორის მრჩევლის შტატი, საერთო ჯამში, ხელშეკრულებით დასაქმდება სულ 17 ადამიანი და მათი ერთი თვის სახელფასო ფონდი, ჯამში, განისაზღვრება 15 950 (თხუთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარით. იმის გათვალისწინებით, რომ ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის განყოფილებაში დამლაგებლებს 112 ვოლიერის მოვლა-დასუფთავება ევალებათ, ხოლო მათი შრომითი ანაზღაურება (ხელფასი) არ შეესაბამებოდა დატვირთვას, სანიტარებისა და დამლაგებლების ხელფასები გაიზარდა.

საერთო ჯამში, სხვაობა ახალ ხელფასსა და ძველს შორის (ერთი თვის) შეადგენს 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარს, წლის სხვაობა - 11 400 (თერთმეტი ათას ოთხასი) ლარს, საპრემიო ფონდი - 77 900 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაასი) ლარს. სულ სხვაობა (ეკონომია) ხელფასებისა და პრემიის გათვალისწინებით (წლის) შეადგენს 89 300 (ოთხმოცდაცხრა ათას სამასი) ლარს.

მომხსენებლის (ვ. ლომჯარია) ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, დამატებითი შეკითხვები დასვეს:

ქ-ნმა ელენე ოზაშვილმა, რომელიც დაინტერესდა, ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების 8 სპეციალისტის (ცხოველების და ქვეწარმავლების დამჭერის) შემცირების მიზანშეწონილობის და აღნიშნული ოპტიმიზაციის (საშტატო ერთეულების შემცირების) უარყოფითი შედეგების საკითხით. ქ-ნმა ე. ოზაშვილმა მაგალითად მოიყვანა მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, გლდანის ტერიტორიაზე მისი მცირეწლოვანი შვილის უპატრონო ძაღლის მიერ დაკბენის ფაქტი, რომელზეც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოხდა. როგორც მისთვის გახდა ცნობილი გარემოს დაცვის კომისიის 2018 წლის 10 მაისის სხდომაზე, ოპერატიული რეაგირების განყოფილებაში სულ 5-6 ეკიპაჟია, რაც არ არის საკმარისი საფრთხის (აგრესიის ან/და საშიში დაავადებების) მატარებელი ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, საჭიროა არა კადრების შემცირება, არამედ, პირიქით, შტატების გაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების დასაქმება.

ბ-ნი ვახტანგ ლომჯარიას განმარტებით, ოპერატიული რეაგირების განყოფილებაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა საკმარისია

იმისთვის, რომ მყისიერი რეაგირება განხორციელდეს მოქალაქეთა შეტყობინებებზე. მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, ამ და არამარტო ამ მიმართულებით განხორციელდეს შტატების გაზრდა, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ იმოქმედა პრიორიტეტებისა და არსებული სახელფასო ფონდის ფარგლებში. თუმცა, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახორციელებელი საკადრო პოლიტიკა უარყოფითად არ აისახება სააგენტოს საქმიანობაზე და მოსახლეობა მაქსიმალურად იქნება დაცული საფრთხის (აგრესიის ან/და საშიში დაავადებების) მატარებელი ცხოველებისგან. ერთადერთი პრობლემაა ოპერატიული რეაგირების ავტომობილები, რის გამოც სააგენტოს თანამშრომლები ოპერატიულად ვერ ახორციელებენ ადგილზე გასვლას შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

დაზუსტების მიზნით შეკითხვა დასვა ბ-ნმა გიორგი ტყემალაძემ და დაინტერესდა, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელობა იკისრებს თუ არა პასუხისმგებლობას რეორგანიზაციის საფუძველზე, ოპერატიული რეაგირების განყოფილებიდან 8 სპეციალისტის (დამჭერის) შტატის გაუქმებით გამოწვეულ შედეგებსა და დედაქალაქის მაცხოვრებელთა უსაფრთხოებაზე.

ბატონმა ვახტანგ ლომჯარიამ სრული პასუხისმგებლობა აიღო ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ოპერატიული და ეფექტიანი რეაგირების განხორციელებაზე და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით დედაქალაქში სიტუაცია არ გართულდება, პირიქით, ოპტიმიზაციის შედეგად, აუცილებლად ამაღლდება სააგენტოს მხრიდან რეაგირების ხარისხი. თუმცა აღნიშნა, რომ, ამ ეტაპზე, აქცენტი გადატანილია ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარზე, რადგან აღნიშნულ განყოფილებაში ხორციელდება ისეთი სერიოზული ღონისძიებები, რაც აუცილებელია ცხოველთა პოპულაციების მართვისთვის. მან მაგალითად მოიყვანა წინა წლებში და მიმდინარე წელს ჩატარებული ოპერაციების (სტერილიზაცია/კასტრაცია) რაოდენობას შორის სხვაობა და აღნიშნა, რომ თუ წინა წლებში ტარდებოდა 6-7 ოპერაცია დღეში, მიმდინარე წელს აღნიშნული ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 15-მდე. გარდა ამისა, დაემატა 1 საოპერაციო ოთახი. ასევე, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ვეტ.ექიმების შენარჩუნების მიზნით, გაიზარდა მათი ხელფასები, რაც ხელს შეუწყობს უპატრონო ცხოველების რაოდენობის კონტროლს (შემცირებას) და პოპულაციების მართვას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა კომისიის მიერ შემუშავებული შემდეგი შენიშვნებისა და წინადადებების პაკეტი (სულ: 7 წინადადება):

1) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, დადგენილების პროექტის პრეამბულაში, საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკანონმდებლო საფუძვლებში, გარდა „ნორმატიული აქტების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2) **მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში გაიწეროს (დაკონკრეტდეს) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის განსაზღვრული თარიღი.**

3) **დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი** საჭიროებს სტილისტურ გასწორებასა და სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპების პუნქტობრივად განსაზღვრას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების)** მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტო თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

ა) კანონიერება;
ბ) გამჭვირვალობა;
გ) პროფესიონალიზმი;
დ) ეფექტურობა;
ე) ადამიანის უსაფრთხოება;
ვ) ჰუმანურობა
ზ) ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა."

4) **წარმოდგენილი ცვლილებით, დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტში,** სათანადო ვეტერინარული ღონისძიებებში არ არის გათვალისწინებული დეჰელმინთიზაცია, როგორც ცხოველის ორგანიზმიდან ჰელმინთების (ჭიების, პარაზიტების) განდევნისა და მოსპობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კომპლექსური ღონისძიება, რაც აუცილებლად უნდა იქნას ასახული ვეტერინარულ ღონისძიებებში. შესაბამისად, მიზანშეწონილია, დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება-გამოყენება: ექიმ-ვეტერინარის ან/და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ბეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა *(საჭიროების შემთხვევებში - დეჰელმინთიზაცია;* ვაქცინაცია (მათ შორის „ანტირაბიული", ცალკეულ შემთხვევებში -„კომპლექსური",) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველების ევთანაზია;"

5) **დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში,** დირექტორის კომპეტენციის განსაზღვრისას, მიზანშეწონილია დაცული იქნას უფლებამოსილებათა განხორციელების თანმიმდევრობა, რის გამოც, მიზანშეწონილია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2.** სააგენტოს დირექტორი:

ა) წარმოადგენს სააგენტოს;

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს სააგენტოს საქმიანობას;

გ) უზრუნველყოფს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლს და ახორციელებს მათ მეთოდურ ხელმძღვანელობას;

დ) წარმოადგენს სააგენტოს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალურ ურთიერთობებში, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, განსაზღვრავს და ამტკიცებს სააგენტოს საშტატო ნუსხას, თანამდებობრივი სარგოების ოდენობას;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

თ) იწვევს სპეციალისტებს ხელშეკრულების საფუძველზე კონკრეტული საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ი) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

კ) ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ლ) სააგენტოში სტაჟირების გავლის მიზნით, ნიშნავს და ათავისუფლებს სტაჟიორებს;

მ) ანაწილებს მოვალეობებს სააგენტოს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს სააგენტოს თანამშრომელთა მიერ მოვალეობების შესრულებას;

ნ) თვალყურს ადევნებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას;

ო) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს ბიუჯეტის პროექტს;

პ) შუამდგომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინაშე იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის შესახებ, რომლებიც საჭიროა სააგენტოს ამოცანების შესასრულებლად;

ჟ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის შესახებ, რომლებიც საჭიროა სააგენტოს ამოცანების შესასრულებლად;

რ) სააგენტოს წინაშე არსებული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მოსამზადებლად და ცალკეული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია, შექმნას სამუშაო ჯგუფები;

ს) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგენს მას ანგარიშს სააგენტოს საქმიანობის შესახებ;

ტ) ხელს აწერს სააგენტოს სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

უ) სააგენტოს სახელით ცალკეული მოქმედების განხორციელების მიზნით სააგენტოს თანამშრომლებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასცემს მინდობილობას (რწმუნებულება);

ფ) ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

ქ) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.“

6) დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-7 მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტებით („ლ“ პუნქტი - მედიასთან, დაინტერესებულ კერძო პირებთან, ორგანიზაციებსა და საზოგადოებასთან, ურთიერთობა და მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემა; „მ“ პუნქტი - პრეს-რელიზის შედგენა და მედია-გაშუქების ორგანიზება) განსაზღვრული ფუნქციები უფრო მეტად შეესაბამება ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს, ვიდრე ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის კომპენტენციას (მუხლი 8). შესაბამისად, მიზანშეწონილია, წესდების (დებულების) მე-7 მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტები განისაზღვროს მე-8 მუხლის (ადმინისტრაციული დეპარტამენტი) „ც“ და „ძ“ პუნქტებად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მე-8 მუხლის „თ“ და „ფ“ ქვეპუნქტები საჭიროებს ტექნიკურ, შინაარსობრივ და სტილისტურ გასწორებას.

ასევე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პუნქტების გადანაცვლების გამო, მე-7 მუხლის „ნ“ პუნქტი განისაზღვროს ამავე მუხლის „ლ“ პუნქტად, ხოლო მე-8 მუხლის „ც“ პუნქტი განისაზღვროს ამავე მუხლის „წ“ პუნქტად და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) პროექტის მე-7 და მე-8 მუხლები ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტი

ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს ცხოველების ჰუმანური გზით დაჭერას, იზოლაციას და ტრანსპორტირებას შესაბამის მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფრებში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ცხოველების მიმართ ახორციელებს სათანადო ვეტერინარულ ღონისძიებებს;

გ) ახორციელებს მოსახლეობის დაცვას აგრესიული ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, უზრუნველყოფს ჰუმანური წესით მათ დაჭერას და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვებას ან იზოლაციას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ექსტრემალურ და გადაუდებელ შემთხვევებზე ახდენს სათანადო ოპერატიულ რეაგირებას;

ე) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს ინფორმაციას სააგენტოს სტრუქტურული ერთეულიდან და განყოფილებებიდან, მისი შემდგომი დამუშავების, ანალიზისა და ვითარების პროგნოზირების მიზნით;

ვ) სააგენტოს ხელმძღვანელობის მითითებით, ახორციელებს სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების და საქმიანობის პერიოდულ, გეგმიურ და სპეციალურ მონიტორინგს;

ზ) დეპარტამენტის თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადება/გადამზადების მიზნით, ახორციელებს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზებას და სააგენტოს დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს 24-საათიან რეჟიმში მოქალაქეთა და დაინტერესებულ პირთა სატელეფონო ზარების მიღებას და მათზე სათანადო რეაგირებას;

ი) ახდენს სააგენტოში შემოსული სატელეფონო შეტყობინებების და მიმართვების სათანადო წესით გაფორმებას, აღრიცხვას, სტატისტიკის წარმოებას;

კ) უზრუნველყოფს სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირების მიზნით სათანადო ღონისძიებებზე მყოფი პირადი შემადგენლობის და სატრანსპორტო საშუალებების განაწილებას და ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების მუდმივ

მიღება-დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნისთანავე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირთათვის აღნიშნულ მონაცემთა მიწოდებას;

ლ) უზრუნველყოფს სააგენტოს დირექტორის ბრძანებების, დავალებების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გაცემული დავალებების კონტროლს.

მუხლი 8. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

ა) შეიმუშავებს სააგენტოს შინაგანაწესს და დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს უფროსს;

ბ) სააგენტოს გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, ამზადებს შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

გ) უზრუნველყოფს სააგენტოზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დასაწყობებას და დაცვას;

დ) ახორციელებს მომარაგების ორგანიზებას;

ე) წარმართავს სამეურნეო საქმიანობას;

ვ) ორგანიზებას უწევს სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარებას და ამორტიზებული ან გამოუყენებლი ქონების ჩამოწერას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) ახორციელებს სააგენტოს საფინანსო-საბუღალტრო მომსახურებას;

თ) უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვას და განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურით, მათ შორის: სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში; ტენდერის, კონკურსის და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებით ორგანიზებას და განხორციელებას;

ი) უზრუნველყოფს სასაწყობე და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ლოჯისტიკას;

კ) უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებების მომზადებას;

ლ) სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში, ამზადებს თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულებისა და მივლინების შესახებ სააგენტოს დირექტორის ბრძანებების პროექტებს;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს ცნობებს;

ნ) ახორციელებს სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენას;

ო) უზრუნველყოფს სააგენტოში შემოსული დოკუმენტაციის მიღებას და მათ აღრიცხვას;

პ) ახორციელებს საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებას და არქივისათვის გადაცემას (არქივირება);

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციას და მოქალაქეთა განცხადებებს;

რ) სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ს) უზრუნველყოფს სააგენტოს თანამშრომლებზე სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის გაცნობას და აკონტროლებს მის შესრულებას;

ტ) სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფს სააგენტოს წარმომადგენლობას სასამართლოში, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

უ) უზრუნველყოფს სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი აქტებისა და დოკუმენტაციის, სააგენტოსთან დაკავშირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას, იღებს მათ მომზადებაში მონაწილეობას და უზრუნველყოფს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სააგენტოში მომზადებული ან მიღებული დოკუმენტაციის სამართლებრივ ექსპერტიზას საჭიროების შემთხვევაში;

ქ) სააგენტოს საქმიანობის, მათ შორის ფასიანი მომსახურების სერვისების განვითარების და გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს სააგენტოს საქმიანობის ანალიზს, შეისწავლის შესაბამის სფეროში დედაქალაქში არსებულ მგდომარეობას და უცხო ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებას და წარუდგენს სააგენტოს ხელმძღვანელს დასკვნებს და წინადადებას კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად;

ღ) სააგენტოს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობის და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, უზრუნველყოფს სააგენტოს საქმიანობის ანალიზს-შესწავლას, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას და სააგენტოს ხელმძღვანელისათვის წარდგენას.

ყ) უზრუნველყოფს სააგენტოს ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციას, მათ შორის:

ყ.ა) საერთაშორისო ვიზიტების დაგეგმვა/ორგანიზებას;

ყ.ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციას;

ყ.გ) საერთაშორისო კონფერენციების/შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზებას;

შ) უზრუნველყოფს სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერას;

ჩ) ახდენს საინფორმაციო ბანკის ფორმირებას, პერიოდულ შევსებას და ექსპლუატაციას; ამ მიზნით ახორციელებს სააგენტოში მიღებული, დამუშავებული და გაცემული ინფორმაციის შენახვას;

ც) ურთიერთობს მედიასთან, დაინტერესებულ კერძო პირებთან, ორგანიზაციებსა და საზოგადოებასთან, უზრუნველყოფს მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემას;

ძ) უზრუნველყოფს პრეს-რელიზის შედგენას და მედია გაშუქების ორგანიზებას;

წ) უზრუნველყოფს სააგენტოს დირექტორის ბრძანებების, დავალებების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გაცემული დავალებების შესრულების კონტროლს.“

7) **დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-9 მუხლით (სათაურშივე)** განსაზღვრულია სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის უფლებამოსილებები და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილის უფლებამოსილება მიზანშეწონილია გაიწეროს ცალკე მუხლად, მე-10 მუხლის სახით. შესაბამისად, მე-9 და მე-10 მუხლები საჭიროებს შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

„მუხლი 9. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის უფლებამოსილებები

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს შორის, აძლევს დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე;

დ) ხელს აწერს სტრუქტურულ ერთეულში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) სააგენტოს დირექტორს წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შესახებ;

ვ) სააგენტოს დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა წახალისებისა და მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ზ) სააგენტოს დირექტორის დავალებით ასრულებს სხვა დავალებებს.

მუხლი 10. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილე

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის (ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტი) უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ საკითხებს, ასრულებს სააგენტოს დირექტორის და სტრუქტურული ერთეულის უფროსის დავალებებს.

ბ) ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებებს და სააგენტოს დირექტორის, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის მითითებებს;

გ) სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, ახორციელებს სტრუქტურული ერთეულის უფროსის უფლებამოსილებას.

ხოლო წესდების (დებულების):

- მე-10 მუხლი (სააგენტოს ქონება) განისაზღვროს მე-11 მუხლად;
- მე-11 მუხლი (სააგენტოს ფინანსები) განისაზღვროს მე-12 მუხლად;
- მე-12 მუხლი (საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას) განისაზღვროს მე-13 მუხლად;
- მე-13 მუხლი (სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება) განისაზღვროს მე-14 მუხლად;
- მე-14 მუხლი (სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი) განისაზღვროს მე-15 მუხლად;
- მე-15 მუხლი (სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია) განისაზღვროს მე-16 მუხლად;
- მე-16 მუხლი (გარდამავალი და დასკვნითი დებულებები) განისაზღვროს მე-17 მუხლად."

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №12-03181317-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა სრული უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №12-03181317-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №15-031814433-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა ბ-ნმა ვახტანგ ლომჯარიამ.

მომხსენებლის (ვ. ლომჯარია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ დაინტერესებულ პირთათვის

მომსახურების (ტერიტორიის რეპელენტით დამუშავება) ადეკვატური, ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესაბამისი საფასურის შეთავაზებით.

კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ბაზრის შესწავლის, ასევე, 2015-2016 წლებში ტერიტორიის რეპელენტით დამუშავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების დროს მომწოდებლების მიერ დაფიქსირებული ფასების მხედველობაში მიღების შედეგად დადგინდა, რომ შესაბამისი მეწარმე-სუბიექტების მიერ ტერიტორიის რეპელენტით დამუშავების მომსახურების ღირებულება 1 კვ.მ.-ზე მერყეობს 5 თეთრიდან 7 თეთრამდე. ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილების მე-6² მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების საფასური, სამუშაოების კატეგორიების მიხედვით, ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე შეადგენს:

ა) პირველი კატეგორიის სამუშაოები - 0,5 ლარი;

ბ) მეორე კატეგორიის სამუშაოები - 1,0 ლარი;

გ) მესამე კატეგორიის სამუშაოები - 1,5 ლარი;

დ) მეოთხე კატეგორიის სამუშაოები - 2,0 ლარი.

ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2017 წლის განმავლობაში (როდესაც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ თავად დაიწყო აღნიშნული ფასიანი მომსახურების გაწევა), სააგენტოს მიერ მიღებული შეკვეთების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 62, ხოლო რეპელენტით დამუშავებული ტერიტორიის ფართობმა შეადგინა 19043 კვ.მ., რაც განსხვავებულია (ნაკლებია) 2015-2016 წლებში დამუშავებული ტერიტორიის საერთო ფართობის მოცულობისგან.

იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს ეფექტიანი და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი შემოსავლის სტაბილური წყაროს არსებობა, ასევე, სააგენტოს მიერ შეთავაზებული მომსახურების ღირებულება იყოს ადეკვატური, ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისი - მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია დედაქალაქის მოსახლეობის მხრიდან ნდობის განმტკიცებისთვის, - აუცილებელია განხორციელდეს ცვლილება და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილების მე-6² მუხლის მე-6

პუნქტით გათვალისწინებული რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების მომსახურების ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) პირველი კატეგორიის სამუშაოები - 007 ლარი;

ბ) მეორე კატეგორიის სამუშაოები - 0,5 ლარი;

გ) მესამე კატეგორიის სამუშაოები - 1,0 ლარი;

დ) მეოთხე კატეგორიის სამუშაოები - 1,5 ლარი.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 24 მაისის №15-031814433-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა სრული უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 24 მაისის №12-031814433-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე